



რას ასწავლიან ლიდერი ლექტორები?

გოდერძი შარაშია



ჯორჯ მაქსველი ამბობდა: „ლიდერი არის ის, ვინც იცის გზა, მიდის ამ გზაზე და აჩვენებს ამ გზას“.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ყველაზე რთული ამ ჯაჭვურ პროცესში გზის ჩვენებაა მათთვის, ვინც ჯერ გზის თავშია.

საქართველოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ ლიდერი ლექტორები არიან. ადამიანები, რომლებიც საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას სტუდენტებს უზიარებენ, უსწრებენ დროს და ასწავლიან ყველაზე მნიშვნელოვანს.

შედეგად კი წარმატებულ და საქმიან კურსდამთავრებულებს ვიღებთ, რომლებიც გამოირჩევიან კონკურენტუნარიანობით – როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

გოდერძი შარაშია – საქართველოს უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ლექტორია. მას


უნივერსიტეტის მეგობარია და ამბობს:

„საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტებს შეუძლიათ თეორიული და პრაქტიკული განათლება ერთდროულად მიიღონ. აქ ლექტორს მაქსიმალური ხელშეწყობა აქვს, გასცეს არა მარტო პროგრამით გაწერილი განათლება, არამედ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება. სასიამოვნო და სასიხარულოა, როდესაც ყოფილი სტუდენტი წლების შემდეგ თავად გამხდარა ამ პროფესიაში პედაგოგი“.

გიორგი ბურდული – საქართველოს უნივერსიტეტში MBA პროგრამის ფარგლებში, ლიდერობასა და ბიზნესკომუნიკაციებში ლექციებს კითხულობს. მისი კარიერა კანზასის უნივერსიტეტში მიღებული ბაკალავრის ხარისხით იწყება. შემდეგ იყო ლონდონის ბიზნესისა და ფინანსების სკოლისა და გრენოზის

ბიზნესსკოლის მაგისტრის ხარისხები. საკუთარი კარიერიდან აღნიშნავს აშშ-ის კონგრესში სტაჟირებას, აქვს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 7-წლიანი მუშაობის გამოცდილება, სადაც 3 სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. მისი სამუშაო გამოცდილება, საჯარო სექტორებთან ერთად, კერძო სექტორების წამყვან პოზიციებზე მუშაობას მოიცავს, უმუშავია გენერალური მენეჯერის, პერსონალის განვითარების დირექტორისა და ბიზნესის განვითარების დირექტორის პოზიციებსა და გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციებზე.

2015 წლიდან არის კომპანია Georgian Progress Group-ის თანადამფუძნებელი და თავმჯდომარე, რომელიც მუშაობს ტრენინგებზე, ქოუჩინგზე, ბიზნესკონსულტაციებსა და ოფიციალური ღონისძიებების მართვაზე.



გიორგი ბურდული

უკვე 23 წელია, რაც საზოგადოება ტელეკომპანიებში იცნობს. ამ პერიოდის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა ქართულ წამყვან ტელეკომპანიებში და დღემდე ქართველ ჟურნალისტებს შორის ლიდერის პოზიციას არ თმობს.

საკუთარი კარიერული გამოცდილებიდან გამოარჩევს საავტორო გადაცემას: „იმედის გმირები“, „ჟურნალისტიკის დღიური“ და „გრეფით საიდუმლო“.

დღეს კი არის გადაცემის „იმედის დღი“ წამყვანი. მიაჩნია, რომ მისი სასწავლო პროგრამა, რომელიც BBC-ის სასწავლო მეთოდებზეა აგებული და რომლის ერთწლიანი კურსი თავად აქვს გავლილი, კონკურენტუნარიანს ხდის მომავალ ჟურნალისტებს და მათ შესაძლებლობას აძლევს პრაქტიკა სხვადასხვა წამყვან მედიასაშუალებებში გაიარონ და დასაქმდნენ.

მიაჩნია, რომ საქართველოს



თამარ ტუშვილი

მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტი ჩვეულებრივ მსმენელს კომფორტის ზონიდან გამოიყვანო და წახალისო, რომ პროცესში ჩაერთოს, რისთვისაც აუცილებელია უშუალოდ, არაფორმალური გარემო და იერარქიის მოსპობა. ტექსტის ნაცვლად, სასწავლო მასალის შესაბამისი ფილმების ნახვას სთავაზობს, ძალიან ხშირად შეჯიბრებებს და ჯგუფურ პრეზენტაციებს აწყობს, რათა სტუდენტებმა შეძლონ შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აგრეთვე, საკუთარი გამოცდილების მაგალითზე ასწავლის, თუ რა ელოდებათ კარიერაში და რა ტიპის რეალური ხერხებით უნდა გადაჭრან პრობლემები და გაუმკლავდნენ გამოწვევებს.

სტუდენტებს ურჩევს, რომ ლექტორებით და სალექციო მასალებით არ შემოიფარგლონ. იყვნენ ცნობისმოყვარეები და მეამბოხეები. დავან ბევრი შეკითხვა და მიეჩიონ ყველას და ყველაფრის კრიტიკულად ანალიზს. არასოდეს მიიღონ მოწოდებული ინფორმაცია გადამოწმებისა და ანალიზის გარეშე. ამბობს იმასაც, რომ განათლება სკოლაში და უნივერსიტეტში არც იწყება და არც მთავრდება – ეს 24-საათიანი, უწყვეტი პროცესია.

თამარ ტუშვილი – საქართველოს უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის პროგრამის ფარგლებში კითხულობს ლექციებს პერსონალის მოტივაციის, განვითარებისა და პოზიტიური ბიზნესფსიქოლოგიის შესახებ.

არის ფსიქოლოგიის დოქტორი, ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ასოცირებული პროფესორი და პოზიტიური ფსიქოლოგი, ასევე ბერლინის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით. აქვს უმაღლესი სასწავლებელში პერსონალის განვითარებისა და მართვის საკითხებში მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. უმუშავია კომპანიის საშუალო და აღმასრულებელ რგოლებთან ლიდერული უნარ-ჩვევების, გაყიდვების, მოტივაციის, სამუშაო კმაყოფილებისა და ბიზნეს უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საკითხებზე.

საქართველოში ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პირველი მკვლევარი და პრაქტიკოსია. აქვს საავტორო პროგრამები, განხორციელებული 900-ზე მეტი ტრენინგი და საკონსულტაციო მომსახურება 150-მდე კომპანიასთან საქართველოში.

სტუდენტებს, საკუთარ ცოდნასთან ერთად, იმ უნარ-ჩვევებსაც უზიარებს, რაც მოგვიანებით სამსახურში წარმატებული კარიერისთვის დასჭირდებათ. თანაშრომლობს სხვადასხვა სექტორის კომპანიებთან პერსონალის მოტივაციისა და განვითარების საკითხებზე, ეს კი მის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ამ კომპანიებთან გაიარონ სტაჟირება და მიიღონ გამოცდილება, რაც მომავალში დასაქმებაში დაეხმარებათ.

პოზიტიური ფსიქოლოგიის სალექციო კურსს საქართველოს უნივერსიტეტში სამაგისტრო საფეხურზე კითხულობს. ეს საკმაოდ ინოვაციური საგანია და ევროპისა და აშშ-ის მხოლოდ წამყვან უნივერსიტეტში იკითხება.

როგორც თავად ამბობს, საქართველოს უნივერსიტეტი სწავლისა და გამოცდილების ადგილია, ფსიქოლოგიის პროფესიონალ გუნდთან ერთად მუშაობის შესაძლებლობაა, სადაც ერთდროულადაა წახალისებული როგორც კვლევაზე, ასევე პრაქტიკაზე მუშაობა. „საქართველოს უნივერსიტეტი – ეს არის საუკეთესო ადგილი სწავლისთვის, კვლევისთვის, მუშაობისთვის და პროფესიული ურთიერთობისთვის“.

ტიმოთი ბარეტი – საქართველოს უნივერსიტეტში საერთაშორისო ბიზნესსამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელია და ლექციებს კითხულობს მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციის სამართლის, საბანკო სამართლის, სამართლებრივი ინგლისურისა და ამერიკის საკანონმდებლო სისტემების მიმართულებებით. იგი ასევე წვრთნის საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს, საერთაშორისო სასამართლო შეჯიბრებებისთვის.

საქართველოში ჩამოსვლამდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში მუშაობდა. არის სამართლის ასოცირებული

პროფესორი, უმუშავია ნავიცი მსაჯულად, კერძო ადვოკატად, ასევე აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო სამართლის სფეროში და სისხლის სამართალში.

სტუდენტებს უზიარებს როგორც საკუთარ გამოცდილებებს, ასევე ამერიკული სტილის განათლებას, რადგან დიდად დაინტერესება ამერიკის სამართლის სისტემისა და მისი მუშაობის პრინციპების შესახებ.

ამერიკის სამართლის სისტემა ცნობილია, როგორც „სოკრატეს მეთოდი“, სადაც ლექტორი, პირდაპირი პასუხების ნაცვლად, სვამს შეკითხვებს და ამ გზით მიდიან სტუდენტები პასუხამდე. ამასთან ერთად, მისი აზრით, მნიშვნელოვანია ინტერაქციის გაზრდა, რისთვისაც ყოველი სემესტრი დასაწყისში სტუდენტებს საკუთარ სახელებს უნივერსიტეტში საერთაშორისო ბიზნესსამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელია და ლექციებს კითხულობს მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციის სამართლის, საბანკო სამართლის, სამართლებრივი ინგლისურისა და ამერიკის საკანონმდებლო სისტემების მიმართულებებით. იგი ასევე წვრთნის საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს, საერთაშორისო სასამართლო შეჯიბრებებისთვის.

როგორც თავად ამბობს, მისთვის საქართველოს უნივერსიტეტი ბრწყინვალე შესაძლებლობების ადგილია, რომელსაც სასწავლებელი საკუთარ სტუდენტებს სთავაზობს.

„სტუდენტები იზრდებიან ისეთ გარემოში, რომელიც მათ აძლევს წინსვლის მოტივაციას. სასიამოვნოა ამ ადამიანების ზრდისა და განვითარების ყურება“.

www.ug.edu.ge



ტიმოთი ბარეტი